

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

მზღვეველი - სს „თიბისი დაზღვევა“;

დამზღვევი - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდაზე;

მოსარგებლე - დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისში დასახელებული ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;

უფლებამოსილი მძღოლი - დამზღვევის თანამშრომელი ფიზიკური პირი, რომელიც არის არანაკლებ 21 წლის, ფლობს შესაბამისი კატეგორიის ავტორანსპორტის მოქმედ მართვის მოწმობას და გააჩნია მართვის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება, თუ პოლისში სხვა რამ არ არის მითითებული;

დაზღვევის ხელშეკრულება - მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც შედგება წინამდებარე დაზღვევის პირობების, შესაბამისი განაცხადის, მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისა და მათი ყველა ორმხრივად ხელმოწერილი დანართისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია დამზღვევის მიერ შექმნილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები;

სადაზღვევო განაცხადი - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელიც მოიცავს რისკის შეფასებისთვის და დაზღვევის განხორციელებისთვის აუცილებელ ინფორმაციას. სადაზღვევო განაცხადი წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების აუცილებელ პირობას;

დაზღვეული ავტორანსპორტი - დამზღვევის კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტორანსპორტი, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

სადაზღვევო პერიოდი - სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ძალაშია დაზღვევა;

სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ლიმიტი, რომელიც თითოეული სახეობისთვის განისაზღვრება ცალ-ცალკე და მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

საბაზრო ღირებულება - დაზღვეული ავტორანსპორტის/მისი ცალკეული ნაწილის იდენტური მახასიათებლების მქონე ნივთის ღირებულება საქართველოს ბაზარზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის;

აღდგენის ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული დაზღვეული ავტორანსპორტის აღსადგენად საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება;

ფრანშიზა - პოლისში მითითებული თანხის ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას და აკლდება ზარალის ოდენობას თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე;

დაზღვევის ტერიტორია/მოქმედების არეალი - სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს დაზღვევა;

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკებით გამოწვეული მოვლენა, რომლის შედეგადაც დამდგარი ზარალი, წინამდებარე პირობების გათვალისწინებით, ექვემდებარება ანაზღაურებას;

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უნაზღაურდება მოსარგებლეს, დაზარალებულს ან მის მემკვიდრეს;

სრული განადგურება/სრული ზიანი - შემთხვევა, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება შეადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს ან ავტოტრანსპორტის ქურდობით/ძარცვით/ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი.

ნარჩენი ღირებულება - ავტოტრანსპორტის ღირებულება საქართველოს ბაზარზე, სრულად განადგურების შემდეგ.

სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო შესატანი/დაზღვევის ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია პოლისში.

გამომუშავებული პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიადგა ზიანი დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დამზღვევის/მოსარგებლის/ავტოტრანსპორტის მესაკუთრის, მათი თანამშრომლების, ოჯახის წევრების და დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლისა და მგზავრებისა.

სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, ქარიშხალი, თოვლის სიმძიმით გამოწვეული ზიანი, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა, მეხის დაცემა.

ავტოსაგზაო შემთხვევა - დაზღვეული ავტოტრანსპორტის გზაზე / ეზოში / ავტოფარეხში ავტოსადგომზე მოძრაობისას, მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი შეჯახება, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება.

საერთო პირობები

ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები (შემდგომში „დაზღვევის პირობები“) მოიცავს დაზღვევის შემდეგ სახეობებს/სექციებს:

სექცია A: ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა (CASCO);

სექცია B: მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL);

სექცია C: მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MPA);

- ყოველი დაზღვეული სექცია მითითებული იქნება სადაზღვევო პოლისში.
- დაზღვევის ყველა სახეობისთვის/სექციისთვის დაზღვევის ტერიტორია მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) თუ კონკრეტული სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
- დაზღვევის პირობებსა და პოლისით გათვალისწინებულ პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პოლისით განსაზღვრულ პირობებს.

წინამდებარე დაზღვევის პირობები წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და დამოუკიდებლად იურიდიული ძალა არ გააჩნია.

სექცია A: ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა:

A.1. ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა ფარავს სადაზღვევო პერიოდში ავტოტრანსპორტის ძარაზე (მათ შორის ქარხნულად დამონტაჟებულ დეტალებზე, სარკეებზე, მოწყობილობებზე და აქსესუარებზე, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს) დაზღვეული რისკების შედეგად გამოწვეული გარეგანი ზემოქმედებით მიყენებულ დაზიანება/განადგურებას.

A.2. დაზღვეული რისკები:

- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ხანძარი, აფეთქება;
- სტიქიური მოვლენები;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან მათი მცდელობით გამოწვეული ზიანი;

- ვანდალიზმი;
- საგნის დაცემა.

A.3. სადაზღვევო ანაზღაურება:

A.3.1 ნაწილობრივი ზიანის შემთხვევაში:

- A.3.1.1 ანაზღაურდება ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზისა და სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში.
- A.3.1.2 ანგარიშსწორება ხორციელდება დაზიანებული ავტოტრანსპორტის შემკეთებელ ავტოსერვის ცენტრთან ან უშუალოდ დამზღვევთან, მზღვეველის გადაწყვეტილების შესაბამისად; მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადასცეს საკუთრების უფლება შეცვლილ ნაწილებზე;

A.3.2 სრული ზიანის შემთხვევაში:

- A.3.2.1. სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ანაზღაურდება ზარალის დადგომის მომენტში ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება, პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის, ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულების (იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი რჩება დამზღვევს), დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალის ოდენობის გამოკლებით.
- A.3.2.2. გადაწყვეტილებას ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულების სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოკლების თაობაზე, იღებს მზღვეველი; იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების თანხას არ აკლდება განადგურებული ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულება, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს გადასცეს საკუთრების უფლება დაზიანებულ ავტოტრანსპორტზე;

A.3.3 ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის შედეგად დამდგარი სრული ზიანის შემთხვევაში:

- A.3.3.1 თუ შსს-ს მიერ გაცემული ცნობის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში იპოვიან დაზღვეულ ავტოტრანსპორტს, დამზღვევს არ შეუძლია, უარი განაცხადოს მასზე. თუ ამ დროისათვის მზღვეველმა აანაზღაურა ზარალი, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია, დაუბრუნოს მზღვეველს ანაზღაურებული თანხა 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში. დასაბრუნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება მზღვეველის მიერ, ნაპოვნი ავტოტრანსპორტის ღირებულების გათვალისწინებით;
- A.3.3.2 თუ დაზღვეულ ავტოტრანსპორტს იპოვიან მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი შსს-ს მიერ გაცემული ცნობის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ, საკუთრების უფლება აღნიშნულ ავტოტრანსპორტზე გადადის მზღვეველზე.
- A.3.4 სრული ზიანის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ ამ ავტოტრანსპორტის მიმართ სადაზღვევო პოლისი უქმდება.
- A.3.5 თუ დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის წლოვანება არ აღემატება 3 (სამი) წელს და მასზე ვრცელდება საგარანტიო პერიოდი, ავტოტრანსპორტის შეფასება მოხდება შესაბამისი მარკის ავტორიზებულ სერვის ცენტრში, ყველა სხვა შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია თავად შეარჩიოს ავტოტრანსპორტის შემკეთებელი ავტოსერვის ცენტრი და დაზიანებული ავტოტრანსპორტის / მისი ნაწილების ღირებულება აანაზღაუროს მათი მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებით.

- A.3.6 თუ დამზღვევი უარს იტყვის მზღვეველის მიერ შეთავაზებულ ავტომემკეთებელი სერვის ცენტრის მომსახურებაზე და თავად შეარჩევს ავტოსერვის ცენტრს დაზიანებული ავტოტრანსპორტის შესაკეთებლად, მზღვეველი იტოვებს უფლებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მის მიერ შერჩეული ავტოსერვის ცენტრის მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, მიუხედავად დამზღვევის მიერ შერჩეული ავტოსერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა;
- A.3.7 როგორც ნაწილობრივი, ისე სრული ზიანის შემთხვევაში, დამზღვევის მიერ ნებისმიერი მესამე პირისაგან ფრანშიზის ოდენობაზე მეტი კომპენსაციის მიღების შემთხვევაში, ასანაზღაურებელ თანხას ასევე აკლდება მიღებულ კომპენსაციასა და ფრანშიზის ოდენობას შორის სხვაობა;
- A.3.8 ზარალის ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ზარალის შეფასება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულების მიერ. ჩასატარებელ ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორი მხარე, ხოლო თუ ექსპერტიზის დანიშვნა ხდება ორივე მხარის ინიციატივით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თანაბრად გადანაწილდება მხარეთა შორის.

A.4. ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა

- A.4.1 სადაზღვევო თანხა თითოეული ავტოტრანსპორტისათვის მცირდება ყოველი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ ანაზღაურებული ზარალის ოდენობით. თითოეულ ავტოტრანსპორტზე მზღვეველის მიერ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხას;
- A.4.2 თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში, სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე, ანუ ხდება არასრული დაზღვევა, სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშებისას გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რაც გულისხმობს, რომ ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ავტოტრანსპორტის სადაზღვევო თანხასა და სადაზღვევო შემთხვევის მომენტში მის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული პროპორციით. ამასთან, ფრანშიზის ოდენობა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის გამოყენების შემდეგ.

A.5. დამატებითი მომსახურება

- A.5.1. დამზღვევს შეუძლია ისარგებლოს გზებზე უფასო ტექნიკური დახმარებით თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის ტერიტორიაზე და მათ შემოგარენში 25 კმ რადიუსის მანძილზე.
- A.5.2. მომსახურების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ ყოველ 24 საათის განმავლობაში.
- A.5.3. დამატებითი მომსახურება მოიცავს:
- ადგილზე საწვავის მიტანას;
 - ძირითადი საბურავის სათადარიგოთი ჩანაცვლებას და გაბერვას;
 - ავტოტრანსპორტის დაქოქვას ელექტროხელსაწყოთა საშუალებით;
 - ავტოტრანსპორტის უახლოეს ავტომემკეთებელ პუნქტში გადაყვანას (იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას და ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით);
- A.5.4. დაზღვეული რისკებით გამოწვეული შემთხვევის დროს, მზღვეველი აგრეთვე ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან საქართველოს მასშტაბით უსაფრთხო ადგილას ევაკუირებისათვის საჭირო ხარჯებს, თუ ავტოტრანსპორტი ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით და მისი ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას].

A.6. ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- A.6.1 მექანიკური და ელექტროსისტემების / ნაწილების ამორტიზაციით, ცვეთით, კოროზიით, ჟანგვით და დაზღვეული რისკების გარდა სხვა მიზეზით გამოწვეული მწყობრიდან გამოსვლით დამდგარი ზარალი;
- A.6.2 დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ჩამონტაჟებული არაქარხნული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) ან სარკეების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი;
- A.6.3 დაზღვეული ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი;
- A.6.4 საბურავის დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ მასთან ერთად არ მომხდარა ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილების დაზიანება;
- A.6.5 დაზიანებული გზის საფარით ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების და დისკების დაზიანებით გამოწვეული ზარალი;
- A.6.6 ავტოტრანსპორტის დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ დამზღვევი ან უფლებამოსილი მძღოლი აღნიშნულის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს ან თუ ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან მზღვეველის ნებართვის გარეშე;
- A.6.7 პოლისში მითითებული ტერიტორიული დაფარვის მიუხედავად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია დაზღვეული ავტოტრანსპორტის ძარის დაზიანება, გარდა ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევისა (თუ პოლისით დამატებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- A.6.8 ავტოტრანსპორტის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება;
- A.6.9 საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით.

სექცია B. მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL)

B.1 დაზღვევა ითვალისწინებს უფლებამოსილი მძღოლის მიერ, სადაზღვევო პერიოდში დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

B.2 სადაზღვევო ანაზღაურება:

მზღვეველი, სადაზღვევო პოლისის შესაბამისი სექციით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ფარგლებში, დაზღვევის ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, აანაზღაურებს:

- B.2.1 დაზარალებული პირისათვის გადასახდელ კომპენსაციას, რომელიც დაეკისრა დამზღვევეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით (გარდა დამზღვევის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან/და მის მიერ სარჩელის ცნობისა);
- B.2.2 სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას, თუ მისი ოდენობა და გარემოებები მზღვეველთან წერილობით იქნება შეთანხმებული და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;
- B.2.3 მზღვეველთან წერილობით შეთანხმებულ სასამართლო თუ სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ასევე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯებს სადაზღვევო თანხის 20%-ის ფარგლებში;
- B.2.4 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დაზარალებული პირების სიცოცხლის ან/და ქონების გადასარჩენად, ან ზიანის შესამცირებლად გაწეულ მიზანშეწონილ ხარჯებს, ამასთან გაწეული ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს ზარალის სავარაუდო ოდენობას.

B.2.5 მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში:

პოლისში მითითებული ლიმიტის/ქველიმიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფარგლებში, მზღვეველი

აანაზღაურებს:

- B.2.5.1 დაზარალებულისთვის გაწეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯებს, რომელიც დასტურდება შესაბამისი ფინანსური და სამედიცინო დოკუმენტებით;
- B.2.5.2 დაზარალებულის **შრომისუნარიანობის სრული** ან **ნაწილობრივი შეზღუდვის** შემთხვევაში, დაზარალებულის მიერ დაკარგულ, დოკუმენტურად დადასტურებულ შემოსავალს, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
- B.2.5.3 დამატებით ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯებს სადაზღვევო თანხის 20%-ის ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დამატებითი ხარჯების დაფარვა არ ხდება სახელმწიფო, სამედიცინო თუ სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
- B.2.5.4 დოკუმენტურად დადასტურებულ შემოსავლს, რომელსაც დაზარალებულის **გარდაცვალების** შემთხვევაში დაკარგავენ მის კმაყოფაზე მყოფი შრომისუნარო პირები ან პირები, რომლებსაც ჰქონდათ უფლება მიეღოთ მისგან სარჩო რეგულარული გადახდის სახით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა.

B.2.6 მესამე პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში:

პოლისში მითითებული ლიმიტის/ქველიმიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფარგლებში მზღვეველი აანაზღაურებს:

- B.2.6.1 *ქონების სრული განადგურებისას* - განადგურებული ქონების საბაზრო ან აღდგენის ღირებულებას ქონების ნარჩენი ღირებულების გამოკვეთით;
- B.2.6.2 *ქონების ნაწილობრივი დაზიანებისას* - დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების/აღდგენის ხარჯებს.

B.3 ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა

- B.3.1 ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი/სადაზღვევო თანხა თითოეული დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის განისაზღვრება პოლისის შესაბამისი სექციით და მცირდება ყოველი ანაზღაურებული ზარალის ოდენობით.
- B.3.2 ერთი შემთხვევის შედეგად რამდენიმე პირის დაზიანების შემთხვევაში, შემთხვევა განიხილება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა. თუ ესეთ შემთხვევაში დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობამ გადააჭარბა პოლისში ერთი ავტოტრანსპორტისთვის განსაზღვრულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეულ დაზარალებულ მხარეს შორის გადანაწილდება პროპორციულად, საერთო ზარალში მათი ზარალის წილის შესაბამისად, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

B.4 მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის (MTPL) დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- B.4.1. შემთხვევა, როდესაც დაზარალებულ პირს წარმოადგენს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლი, ამ ავტოტრანსპორტში მყოფი მგზავრები, დამზღვევის დაქვემდებარებული/თანამშრომელი ან მათი (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრი;
- B.4.2 დამზღვევის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ზიანი;
- B.4.3 მზღვეველთან წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირის წინაშე აღიარებული პასუხისმგებლობა და გაწეული ხარჯები;
- B.4.4 მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;

- B.4.5 წმინდა ფინანსური ზარალი, როდესაც არ იკვეთება მესამე პირის ქონების და/ან ჯანმრთელობის დაზიანება/განადგურება;
- B.4.6 საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევები, მიუხედავად პოლისში მითითებული ტერიტორიული დაფარვისა (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- B.4.7 საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

სექცია C. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MPA)

C.1 დაზღვევა ითვალისწინებს, სადაზღვევო პერიოდში, უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტორანსპორტის მართვისას გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დაზღვეული ავტორანსპორტის მძღოლისა ან/და მგზავრების სიცოცხლის/ჯანმრთელობის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

C.2 სადაზღვევო ანაზღაურება

მზღვეული, სადაზღვევო პოლისის შესაბამისი სექციით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო თანხისა და ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის ფარგლებში, დაზღვევის ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეულ შემდეგ ხარჯებს:

- C.2.1 გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის და საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯებს, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.
- C.2.2 შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებულ საავადმყოფოში მკურნალობისა და ყოფნის ხარჯებს, მაგრამ არაუმეტეს ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის 20%-ისა.

C.2.3 დაზარალებულის ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში:

კომპენსაციას ქვემოთ მოყვანილი საკომპენსაციო ცხრილის მიხედვით, სადაც 100%-ით ანაზღაურება შეესაბამება ერთ პირზე განსაზღვრულ ქველიმიტს (უკვე ანაზღაურებული და/ან მის მკურნალობაზე უკვე გაწეული ხარჯების გამოქვითვით);

ა) შეზღუდვის მკვეთრად გამოსატული ხარისხისას	100%;
ბ) შეზღუდვის მნიშვნელოვნად გამოსატული ხარისხისას	60%;
გ) შეზღუდვის ზომიერად გამოსატული ხარისხისას	30%;

C.2.4 დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში:

ანაზღაურდება ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის 100%, უკვე ანაზღაურებული და/ან მის მკურნალობაზე უკვე გაწეული ხარჯების გამოკლებით; სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა გარდაცვლილის მემკვიდრეზე.

C.3 ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა

C.3.1 დაზღვევის ამ სექციისათვის/სახეობისათვის ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მოცულობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ჯამურ ლიმიტსა და ქველიმიტს ერთ პირზე. ქველიმიტი ერთ პირზე განსაზღვრება დაზღვეულ ავტორანსპორტში ადგილების რაოდენობის მიხედვით, კერძოდ ჯამური ლიმიტი გაიყოფა დაზღვეული ავტორანსპორტის დასასხდომი ადგილების (მძღოლის ადგილის ჩათვლით) რაოდენობაზე, თუ პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

C.4 მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევასთან (MPA) დაკავშირებული გამონაკლისები:

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- C.4.1 თუ მძღოლი ან/და მგზავრები გარდაიცვალნენ ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის შემდეგ;

- C.4.2 საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევები, მიუხედავად პოლისში მითითებული ტერიტორიული დაფარვისა (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- C.4.3 საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

ზოგადი პირობები

1. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

1.1. დამზღვევი ვალდებულია:

- 1.1.1 უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადავად აუცილებელი ინფორმაციით და როგორც დაზღვევის გაფორმებამდე, ისე მთლიანი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სადაზღვევო რისკის შეფასებაზე.
- 1.1.2 დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ.: ავტოტრანსპორტის გასხვისება, დატვირთვა მესამე პირის სასარგებლოდ, სადაზღვევო რისკის ხარისხის ზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა/დამატება და ა.შ.) დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს წერილობით;
- 1.1.3 ყველა უფლებამოსილ მძღოლს და მოსარგებლეს გააცნოს დაზღვევის წინამდებარე პირობები;
- 1.1.4 დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;
- 1.1.5 დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს ავტომანქანის გასაღების დაკარგვის შემთხვევაში;
- 1.1.6 დაზღვეული ავტოტრანსპორტი ჰყავდეს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;
- 1.1.7 მისცეს მზღვეველს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ავტოტრანსპორტის დათვალიერებისა და ფოტოების გადაღების საშუალება ავტოტრანსპორტის დაზღვევამდე და/ან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს.
- 1.1.8 მზღვეველის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, აღჭურვოს დაზღვეული ავტოტრანსპორტი სიგნალიზაციით. ავტოტრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, ჩაკეტოს იგი და ჩართოს სიგნალიზაცია (არსებობის შემთხვევაში);
- 1.1.9 მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად;
- 1.1.10 დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;
- 1.1.11 დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და სამართლებრივ პროცედურებზე, აგრეთვე, ნებისმიერ გაცხადებულ ან პოტენციურ/შესაძლო პრეტენზიაზე;
- 1.1.12 არ აიღოს საკუთარ თავზე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- 1.1.13 მიაწოდოს მზღვეველს ზარალის დარეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, ასევე მზღვეველის მხრიდან ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის საჭირო ყოველგვარი დოკუმენტაცია. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მისცეს უფლება, მისი სახელით წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი;

- 1.1.14 მუდამ თან იქონიოს დაზღვეული ავტორანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს იგი ავტორანსპორტში.
- 1.1.15 შეასრულოს მზღვეველის მითითება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაზიანებული ავტორანსპორტის შემკეთებელ ავტოსერვის ცენტში გადაყვანის თაობაზე, უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მითითების გაცემიდან (ზეპირი ან წერილობითი სახით) 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა;
- 1.1.16 არ დაიწყოს დაზიანებული ავტორანსპორტის შეკეთება მზღვეველთან შეთანხმებლად;
- 1.1.17 იმ შემთხვევაში, თუ განადგურებულ ავტორანსპორტზე საკუთრების უფლება გადაეცემა მზღვეველს, უზრუნველყოს ავტორანსპორტის მფლობელობასთან და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაციული ჯარიმის, საურავისა და ხარჯის დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ხარჯები გამოაკლდება მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას;
- 1.1.18 უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე ხელმოწერა პოლისით გათვალისწინებული მოსარგებლის მიერ, მზღვეველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან და ასანაზღაურებელ თანხაზე შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

1.1.19 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:

- i) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს ცხელ ხაზზე [2 42 22 22] და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- ii) დაუყოვნებლივ გამოიძახოს საპატრულო პოლიცია [112], გარდა იმ შემთხვევისა თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეული ავტორანსპორტის მხოლოდ წინა საქარე მინა ან სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია სტიქიური მოვლენით.
- iii) არ გადაადგილოს ავტორანსპორტი და არ მიატოვოს შემთხვევის ადგილი საპატრულო პოლიციის და მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული მოთხოვნილია საპატრულო პოლიციის მიერ.
- iv) სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა წარუდგინოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტები:
 - ავტორანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა (ორიგინალი ავტორანსპორტის სრული განადგურების შემთხვევაში);
 - შემთხვევის დადგომის დროს საჭესთან მჯდომი პირის მართვის და პირადობის მოწმობები, ასევე მძღოლის ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის თაობაზე სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - შემთხვევის დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტები კომპეტენტური ორგანოებიდან (ავტოსაგზაო შემთხვევის დროს - შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, საგზაო შემთხვევის სქემა, საქართველოს ფარგლებს გარეთ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საპატრულო პოლიციის ოქმის ანალოგიური საბუთი), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს დამატებით წარუდგინოს ინფორმაცია ასეთი მესამე პირის შესახებ, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
 - მოსარგებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები;
 - კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა აუცილებელი საბუთი;
- v) **ავტომანქანის გატაცებისას, უმოკლეს ვადაში დამატებით წარმოადგინოს:**
 - ავტომანქანის არსებული ქარხნული გასაღებების კომპლექტი, სარეგისტრაციო მოწმობის ორიგინალი, სიგნალიზაციის მართვის პულტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების ასლი;

- დაკარგულ ავტომანქანაზე გაცემული ნებისმიერი მინდობილობის დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

vii) მესამე პირებისათვის ზიანის მიყენებისას დამატებით წარმოადგინოს:

- შეტყობინება დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
- მესამე პირის ქონების და/ან სიცოცხლისათვის/ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
- მესამე პირის ქონების და/ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია (დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან - გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამედიცინო ჩანაწერები (ფორმა N100) და გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნები, სპეციალისტთა კონსულტაციების, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების პასუხები/დასკვნები და ა.შ.);
- მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი (ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი);
- ქონების დაზიანების შემთხვევაში, დოკუმენტი რომელიც ადასტურებს მესამე პირის საკუთრების უფლებას დაზიანებულ ქონებაზე.
- **გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების შესახებ;**
- მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- თუ მესამე პირის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში).

viii) მძღოლისა და მგზავრების დაზიანების შემთხვევაში დამატებით წარმოადგინოს:

- მძღოლის მართვის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების და მგზავრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია (დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან - გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამედიცინო ჩანაწერები (ფორმა N100) და გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნები, სპეციალისტთა კონსულტაციების, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების პასუხები/დასკვნები და ა.შ.);
- **ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში -** „შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ქმედუნარიანობის შეზღუდვის ფაქტი.“
- **გარდაცვალების შემთხვევაში -** გარდაცვალების მოწმობა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების შესახებ, მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

viii) აუცილებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისგან/დაზარებულისაგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

1.2. **მზღვეველი** ვალდებულია

1.2.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.

1.3. **მზღვეველი** უფლებამოსილია:

1.3.1 შესთავაზოს დამზღვევს ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი პირობებით ავტორანსპორტის ექსპლუატაციის პირობების ან რისკის ხარისხის ზრდის შემთხვევაში, ხოლო

- დამზღვევის მხრიდან შეცვლილი პირობების მიღებაზე უარის შემთხვევაში, შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება;
- 1.3.2 ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ მოწოდებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია;
- 1.3.3 მოითხოვოს დამზღვევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ორიგინალები;
- 1.3.4 მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, ანაზღაურების გაცემისთვის მოითხოვოს დამზღვევისგან მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.
- 1.3.5 სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო, კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;

1.3.6 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში:

- დაათვალიეროს და დაასურათოს დაზღვეული დაზიანებული ავტორანსპორტი, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;
 - დაზიანებული ავტორანსპორტის (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების და აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი ან/და დანიშნოს ექსპერტიზა.
 - გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;
 - შეამციროს/გაზარდოს დამზღვევის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე;
 - მოითხოვოს დამზღვევისგან ყველა იმ სახის ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს ზიანის გამომწვევი მიზეზების და/ან ზარალის მოცულობის დადგენისთვის.
- 1.3.7 გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.
- 1.3.8 აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს დამზღვევისგან დამატებითი დოკუმენტაცია;
- 1.3.9 შეადგინოს დაზღვეული დაზიანებული ავტორანსპორტის (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);
- 1.3.10 მოითხოვოს დამზღვევისგან საკუთრების უფლების გადაცემა სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ ავტორანსპორტის შეცვლილ ნაწილებზე, დაზღვეული ავტორანსპორტის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას - განადგურებულ ავტორანსპორტზე, ხოლო ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში - ნაპოვნ ავტორანსპორტზე.

1.4. **დამზღვევი** უფლებამოსილია:

- 1.4.1 განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.

1.5. **მოსარგებლე** უფლებამოსილია:

- 1.5.1 მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2. სადაზღვევო ანაზღაურება და ვადები

2.1 მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას:

- i) ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

- ii) ავტოტრანსპორტის ქურდობის, ძარცვის და/ან ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტი არ იქნა აღმოჩენილი პოლიციაში გაცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ასეთი ვადის გასვლიდან და სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 2.2 იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

3. საერთო გამონაკლისები

ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები (გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება ან/და ანაზღაურების შემთხვევაში ექვემდებარება უკან დაბრუნებას), ეხება ყველა შემთხვევაში განსაზღვრულ დაზღვევის სექციას.

3.1 წინამდებარე პირობებით, დამდგარი ზარალი არ ექვემდებარება ანაზღაურებას შემდეგ შემთხვევებში:

- 3.1.1 დამზღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორი/არაზუსტი აღმოჩნდება;
- 3.1.2 დამზღვევისთვის ცნობილია გარემოებები, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკს და ამის შესახებ დაუყონებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობით ან მიაწოდა ყალბი / არასრული ინფორმაცია/დოკუმენტი აღნიშნულის შესახებ;
- 3.1.3 მზღვეველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებულისგან განსხვავებული დანიშნულებით.
- 3.1.4 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სრულად და დროულად არ იყო გადახდილი პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანი;
- 3.1.5 ზარალი/ზიანი არსებობდა დაზღვევამდე და/ან სადაზღვევო შემთხვევამდე;
- 3.1.6 დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ან უფლებამოსილმა მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად საჭირო სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი შესაბამისი ფაქტის დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 3.1.7 ავტოტრანსპორტს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების დროებითი შეზღუდვის/ჩამორთმევის პერიოდში);
- 3.1.8 ზარალი გამოწვეულია უფლებამოსილი მძღოლის / დამზღვევის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და/ან საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით;
- 3.1.9 დამზღვევი/მოსარგებლე/უფლებამოსილი მძღოლი განზრახ გამოიწვევს ან შეეცდება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა ან რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება გააყალბოს რაიმე დოკუმენტაცია;
- 3.1.10 ზარალი გამოწვეულია მესამე პირის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით;
- 3.1.11 დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლი გადაადგილდება საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;

- 3.1.12 ზარალი გამოწვეულია ავტოტრანსპორტის როგორც ტვირთის ტრანსპორტირების, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვის ან ბუქსირით გადაადგილების ან მისი დატვირთვა / გადმოტვირთვით, საჯარიმო სადგომზე გადაყვანით ან საჯარიმო სადგომზე დგომის დროს;
- 3.1.13 დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენება ავტოდრომზე ან მის გარეთ ნებისმიერი სახის რბოლაში/სისწრაფის გამოცდაში/შეჯიბრში (მათ შორის Off Road), ასევე ნებისმიერი სახის ტესტირებისთვის (მათ შორის Test Drive), სამაშველო სამსახურისთვის;
- 3.1.14 დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მგზავრთა რაოდენობა აღემატებოდა დასაშვებს ან გადატვირთულია;
- 3.1.15 სადაზღვეო შემთხვევა დადგა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
- 3.1.16 დაზღვეული ავტოტრანსპორტი არ იძებნება VIN კოდით ან არ ემთხვევა მის VIN კოდს;
- 3.1.17 ზიანი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის აეროდრომზე, აეროპორტში ან აეროდრომის იმ მონაკვეთზე ყოფნისას, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასადგილებლად, სადგომად, აეროპორტის მომსახურებისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის;
- 3.1.18 ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე ყოფნისას, სადაც შეზღუდულია ავტოტრანსპორტით გადაადგილება.
- 3.1.19 ავტოტრანსპორტის შეკეთებით გამოწვეული გაუფასურებით დამდგარი ზარალი;
- 3.1.20 ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობით ან არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით.
- 3.1.21 დაზიანებული ავტოტრანსპორტის მზღვეველთან შეუთანხმებლად გაწეული აღდგენითი/სარემონტო სამუშაოების ღირებულება;
- 3.1.22 ზიანი, რომელიც მიადგა დამზღვევის ქონებას ან ქონებას, რომელიც დამზღვევს ქონდა მიზარებული შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად.
- 3.1.23 ზიანი, მიადგა ქონებას, რომელიც გადაიზიდებოდა დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან მიმავრებული იყო მასთან ნებისმიერი სახის მისაბმელით;
- 3.1.24 დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;
- 3.1.25 დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს არ მიუწოდებია ინფორმაცია მზღვეველისთვის წერილობით;
- 3.1.26 დამზღვევი ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით;
- 3.1.27 მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია ან უფლებამოსილ მძღოლს მიტოვებული აქვს შემთხვევის ადგილი (გარდა საპატრულო პოლიციის ან მზღვეველის წარმომადგენლის მიერ გაცემული მითითების არსებობის შემთხვევისა);
- 3.1.28 ქურდობის შემთხვევაში, დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და/ან გასაღები დატოვებული იყო ავტოტრანსპორტში და/ან ავტოტრანსპორტი დატოვებული იყო ღია მდგომარეობაში (არ იყო ჩაკეტილი) ან ჩაწეული იყო მინები, ან ავტომობილის გასაღები გადაცემული იყო ნებისმიერი არაუფლებამოსილი მძღოლისთვის;
- 3.1.29 ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობით გამოწვეული ზიანი, რომელიც დადგა საქართველოს ფარგლებს გარეთ (მუხედავად პოლისში მითითებული დაზღვეული ტერიტორიის ფარგლებისა);
- 3.1.30 თუ მზღვეველის მოთხოვნის შესაბამისად, არ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ორიგინალები;
- 3.1.31 დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯები, საკეტების გამოცვლის ხარჯი, თუ გასაღებები მოპარულია ან დაკარგული;
- 3.1.32 ავტოტრანსპორტის დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული სამუშაოებით გამოწვეული ხარჯები;
- 3.1.33 ავტოტრანსპორტის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შეკეთების ხარჯები;
- 3.1.34 ზარალი გამოწვეულია ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივ თვისებებით;

- 3.1.35 ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმა, ასევე საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯები, მიუღებელი შემოსავლები, მორალური ზიანი, სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავების ღირებულება და ა.შ.;
- 3.1.36 დაზღვევის მიერ დაზღვევის პირობებით განსაზღვრული ვადების არასაპატიო მიზეზით (როდესაც არ გააჩნია საბუთის წარმოდგენლობის დასაბუთებული მიზეზი) დარღვევის შემთხვევაში.
- 3.1.37 საომარი მოქმედებით (მიუხედავად ომის გამოცხადებისა თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით, აჯანყებით, გაფიცვა ან სამოქალაქო არეულობით, ტერორისტული აქტით ან მისი მცდელობით;
- 3.1.38 იონიზირებული რადიაციით, რადიოაქტიური დაბინძურებით, ნებისმიერი სახის რადიოაქტიური გამოსხივების მქონე ბირთვული საწვავით ან რადიოაქტიური წვის შედეგად მიღებული ნარჩენებით, გარემოს დაბინძურებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნაერთების ტრანსპორტირებით;
- 3.1.39 კონფისკაციით, დაპატიმრებით, დაკავებით ან სახელმწიფო ორგანოების დავალებით;
- 3.1.40 დაზღვევის / მოსარგებლის / უფლებამოსილი მძღოლის მიერ პოლისით და დაზღვევის პირობებით გათავლისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- 3.1.41 თუ ზარალი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომლის დროს მზღვეველს საქართველოს კანონმდებლობა აძლევს უფლებას უარი თქვას ზიანის ანაზღაურებაზე.